

**მყარი წიაღისეულის გამდიდრების ტექნოლოგიის სპეციალისტი 041453
პროფესიული სტანდარტი**

I. სფეროს აღწერა

მყარი წიაღისეულის გამდიდრების ტექნოლოგია წარმოადგენს წარმოების მნიშვნელოვან ქვესისტემას, რომელიც უზრუნველყოფს სხვადასხვა სახის წიაღისეულიდან კონდიციური სასაქონლო პროდუქციის მიღებას. მყარი წიაღისეულის გამდიდრების ტექნოლოგიის სპეციალისტის პროფესია მოიცავს:

- გამამდიდრებელი ფაბრიკების ტექნოლოგიური პროცესების დასინჯვა-კონტროლს;
- გამამდიდრებელი ფაბრიკების ტექნოლოგიაში გამოყენებული აპარატურის მართვას;
- ტექნოლოგიური პროცესების უწყვეტობას;
- ტექნოლოგიურ პროცესში გამოყენებული აპარატურის მიმდინარე რემონტს.

II. დასაქმების სფერო

მოცემული სტანდარტის მიხედვით მყარი წიაღისეულის გამდიდრების ტექნოლოგიის სპეციალისტი არის ტექნიკური პერსონალი, რომელიც მუშაობს სხვადასხვა სახის (მადნეული; ჭიათურა; ტყიბული) წიაღისეულის მამდიდრებელ ფაბრიკებში სხვადასხვა ტექნოლოგიურ კვანძებში.

III. დამატებითი მოთხოვნები

პრაქტიკის მასწავლებელს უნდა ჰქონდეს პროფესიით მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება.

- მესამე საფეხურის პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა საბაზო განათლება;
- მეოთხე საფეხურის პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა მესამე საფეხურის კვალიფიკაციის ქონა;
- მეხუთე საფეხურის პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა მეოთხე საფეხურის კვალიფიკაციის ქონა.

IV. საგანმანათლებლო პროგრამა და კვალიფიკაცია

მყარი წიაღისეულის გამდიდრების ტექნოლოგიის სპეციალისტის განათლება არის სამსაფეხურიანი (III, IV და V) და თითოეული საფეხურისათვის დამუშავებულია შესაბამისი პროფესიული განათლების პროგრამა. ყოველი საფეხურის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს ენიჭება შესაბამისი საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია და გაიცემა პროფესიული დიპლომი.

მყარი წიაღისეულის გამდიდრების ტექნოლოგიის სპეციალისტის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს მინიმუმ 60 კრედიტს, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული საერთო დატვირთვა მოიცავს თეორიის და პრაქტიკის კომპონენტს. პრაქტიკის კომპონენტი არის საერთო დატვირთვის არანაკლებ 60%. ენიჭება მყარი სასარგებლო წიაღისეულის გამდიდრების სპეციალისტის მესამე საფეხურის (სპეციალისტის თანაშემწე) პროფესიული კვალიფიკაცია.

მყარი წიაღისეულის გამდიდრების ტექნოლოგიის სპეციალისტის მეოთხე საფეხურის სპეციალისტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს მინიმუმ 60 კრედიტს, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული საერთო დატვირთვა მოიცავს თეორიის და პრაქტიკის კომპონენტს. პრაქტიკის კომპონენტი არის საერთო დატვირთვის არანაკლებ 40%. ენიჭება მყარი სასარგებლო წიაღისეულის გამდიდრების ტექნოლოგიის სპეციალისტის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია.

მყარი წიაღისეულის გამდიდრების ტექნოლოგიის სპეციალისტის მეხუთე საფეხურის სპეციალისტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს მინიმუმ 60 კრედიტს, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული საერთო დატვირთვა მოიცავს თეორიის და პრაქტიკის კომპონენტს. პრაქტიკის კომპონენტი არის საერთო დატვირთვის არანაკლებ 40%. ენიჭება მყარი სასარგებლო წიაღისეულის გამდიდრების ტექნოლოგიის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია.

მყარი წიაღისეულის გამდიდრების ტექნოლოგიის სპეციალისტის მესამე საფეხურის კვალიფიკაციის აღმწერი

ცოდნა და გაცნობიერება	აქვს სფეროსათვის დამახასიათებელი ძირითადი ფაქტების, პრინციპების, პროცესებისა და ზოგადი კონცეფციების ცოდნა, აცნობიერებს გართულებული ამოცანების შესასრულებლად აუცილებელ ნაბიჯებს	იცის წიაღისეულის გადამუშავება (გამდიდრება). იცნობს გამდიდრების ძირითად პროცესებს: ფლოტაცია, გრავიტაცია, მაგნიტური სეპარაცია; ტექნოლოგიური პროცესების მიმდინარეობის შეფერხების შემთხვევაში შეუძლია რეაგირება და ტექნიკური მიზეზით გამოწვეული დარღვევის აღმოფხვრა.
ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	შეუძლია გამოიყენოს სფეროს სპეციფიკისათვის დამახასიათებელი უნარების ფართო სპექტრი, შეაფასოს დავალებების შესასრულებლად სხვადასხვა მიდგომა, შეარჩიოს და მიუსადაგოს სათანადო მეთოდები, ინსტრუმენტები და მასალები.	შეუძლია დავალების მიღებისას ცოდნის შესაბამისად აღმოფხვრას დარღვევები ტექნოლოგიურ პროცესში, გამოიყენოს სათანადო ინსტრუმენტები და მასალები დაზიანებული აპარატურის შეკეთებისათვის.
დასკვნის უნარი	შეუძლია განსხვავებულ სიტუაციებში წამოქმნილი პრობლემების გადასაჭრელად ინფორმაციის ცნობილი წყაროებით სარგებლობა, მათი შეფასება და ანალიზი.	შეუძლია წიაღისეულის გამდიდრების ტექნოლოგიების შესწავლის შედეგად, ტექნოლოგიური პროცესებისა წამოჭრილი პრობლემების გადასაჭრელად ინფორმაციის არსებული წყაროებით სარგებლობა, მათი შეფასება და ანალიზი.

კომუნიკაციის უნარი	შეუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე განსხვავებულ სიტუაციებში, ეფექტიანად იყენებს პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებულ საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს, შეუძლია უცხო ენის პრაქტიკული გამოყენება.	შეუძლია პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება, როგორც მშობლიურ, ასევე უცხოურ ენაზე.
სწავლის უნარი	შეუძლია წინასწარ განსაზღვრული ამოცანების ფარგლებში საკუთარ სწავლაზე პასუხისმგებლობის აღება.	შეუძლია განავრცოს მიღებული ცოდნა პრაქტიკულ საქმიანობაში და პროფესიული გარემოდან აითვისოს ახალი უნარ-ჩვევები.
ღირებულებები	განსხვავებულ სიტუაციებში მოქმედებს პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელი ღირებულებების შესაბამისად.	ტექნოლოგიურ აპარატურაზე (სამსხვრეველა, ცხრილები, საფლოტაციო მანქანები; წისქვილები და სხვა) წარმოქმნილი არატიპური სიტუაციებისას მოქმედებს პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელი სპეციფიური მოთხოვნებისა და ღირებულებების შესაბამისად.

მყარი წიაღისეულის გამდიდრების ტექნოლოგიის სპეციალისტის მეოთხე საფეხურის კვალიფიკაციის აღმწერი

ცოდნა და გაცნობიერება	აქვს სფეროს ფაქტობრივ გარემოებებსა და თეორიულ საფუძვლებზე დამყარებული ცოდნა, აცნობიერებს პრობლემების გადაჭრის ზოგად შესაძლებლობებს.	იცის მყარი წიაღისეულის გადამუშავების ძირითადი თეორიები, კონცეფციები, პრინციპები; საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ის საკითხები, რომლებიც წიაღისეულის ნაირსახეობებისა და მათი გადამუშავების ტექნოლოგიების წვდომისათვის განმსაზღვრელია. გაცნობიერებული აქვს მეწარმეობის პრინციპები. იცის ზოგადი მენეჯმენტის საფუძვლები.
ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	შეუძლია, სამუშაოს დაგეგმვისა და შესრულების პროცესში გამოიყენოს სანდო ინფორმაციის წყაროები, შეიმუშაოს სტრატეგია წამოჭრილი სპეციფიკური ამოცანის დასაძლევად და შეაფასოს მიღებული შედეგები შესრულებული სამუშაოს გაუმჯობესების მიზნით.	შეუძლია წიაღისეულის გადამუშავების ტექნოლოგიაში ცალკეული ტექნოლოგიური კვანძების სამსხვრევ-საცხრილი, საფქვავე, ძირითადი მამდიდრებელი აპარატურის მართვა და მიმდინარე რემონტის ჩატარება.

დასკვნის უნარი	შეუძლია სპეციფიკური პრობლემების გადასაწყვეტად შესაბამისი მიდგომის შემუშავება, ალტერნატიული შესაძლებლობების განხილვა და მიღებული შედეგის ანალიზი.	შეუძლია მიღებული ცოდნის შესაბამისად გამდიდრების ტექნოლოგიურ სქემაში ტექნოლოგიური პროცესის მართვა. აქვს უნარი ამოიცნოს შეუსაბამობები და აღმოფხვრას ისინი. შეიმუშავოს სათანადო მიდგომები სპეციფიკური პრობლემების არსებობის შემთხვევაში.
კომუნიკაციის უნარი	შეუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე ცვალებად სიტუაციებში, ახალი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დამოუკიდებლად ათვისება, უცხოურ ენაზე მიღებული პროფესიასთან დაკავშირებული ინფორმაციის დამუშავება.	შეუძლია არსებული წიაღისეულის გადამუშავების ტექნოლოგიების განხილვა, ახალი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დამოუკიდებლად ათვისება.
სწავლის უნარი	შეუძლია საკუთარი სწავლის მიმართულებების დამოუკიდებლად განსაზღვრა განჭვრეტად, თუმცა ნაწილობრივ ცვალებად, ვითარებაში.	შეუძლია დამოუკიდებლად შეისწავლოს წიაღისეულის გადამუშავების ახალი ტექნოლოგიები. გაეცნოს და გადაამუშავოს ინფორმაცია, რომელიც შეიცავს წიაღისეულის მოძიებისა და გადამუშავების სიახლეებს.
ღირებულებები	პასუხისმგებლობით ეკიდება პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელ ღირებულებებს და ცვალებად სიტუაციებში მოქმედებს მათ შესაბამისად.	გათავისუფლებული აქვს წიაღისეულის გადამუშავების პროცესებში წარმოქმნილი პრობლემები, ტექნოლოგიური პროცესების კონტროლი, ოპერაციული მენეჯმენტის პრინციპების დაცვა; უსაფრთხოებისა და შრომის დაცვის პრინციპები, ეთიკისა და ადმინისტრირების ნორმები. გააჩნია პასუხისმგებლობა საკუთარი თავისა და კოლეგების მიმართ.

მყარი წიაღისეულის გამდიდრების ტექნოლოგიის სპეციალისტის მეხუთე საფეხურის კვალიფიკაციის აღმწერი

ცოდნა და გაცნობიერება	აქვს პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული მრავალმხრივი და/ან სპეციალიზებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნა, აცნობიერებს პროფესიული საქმიანობის შესაძლებლობებს (საზღვრებს).	იცის წიაღისეულის გამდიდრების მოსამზადებელი, ფლოტაციური, გრავიტაციული, მაგნიტური პროცესები თეორიასა და პრაქტიკაში. იცნობს სამთო მანქანებისა და მოწყობილობების მუშაობის სპეციფიკას, ფლობს ოპერაციულ მენეჯმენტს. აცნობიერებს პროფესიულ მოთხოვნებს წიაღისეულის მოპოვებისა და გადამუშავების სფეროში.
ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	შეუძლია შემეცნებითი და პრაქტიკული უნარების ფართო სპექტრის გამოყენება აბსტრაქტული პრობლემების შემოქმედებითად გადასაწყვეტად.	სპეციალიზირებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნა საშუალებას აძლევს მართოს და საჭიროების შემთხვევაში შეცვალოს წიაღისეულის გამდიდრების ცალკეული კვანძების ტექნოლოგიური სქემები.
დასკვნის უნარი	შეუძლია კარგად განსაზღვრული პრობლემების ამოცნობა, მათი გადაჭრისათვის სათანადო მონაცემების იდენტიფიცირება და ანალიზი სტანდარტული მეთოდების გამოყენებით, ასევე დასაბუთებული დასკვნების გაკეთება.	თეორიული და პრაქტიკული ცოდნის საფუძველზე შეუძლია ტექნოლოგიურ პროცესში წარმოქმნილი პრობლემების ამოცნობა, ანალიზი და დასაბუთებული დასკვნის გამოტანა.
კომუნიკაციის უნარი	შეუძლია იდეებისა და ინფორმაციის სტრუქტურირებულად და თანმიმდევრულად გადაცემა სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ხარისხობრივი და რაოდენობრივი ინფორმაციის გამოყენებით. იყენებს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს. შეუძლია უცხოურ ენაზე პროფესიასთან დაკავშირებული ინფორმაციის გადაცემა და ანგარიშის წარდგენა.	შეუძლია წიაღისეულის გადამუშავების ტექნოლოგიის ღრმა ცოდნის საფუძველზე თანმიმდევრულად გადასცეს ინფორმაცია სპეციალისტებსა და სხვა დაინტერესებულ პირებს როგორც მშობლიურ, ასევე უცხოურ ენაზე.
სწავლის უნარი	შეუძლია საკუთარი სწავლის მიმართულებების განსაზღვრა ცვალებად და გაუთვალისწინებელ ვითარებაში.	აქვს უნარი შეძენილი თეორიული და პრაქტიკული ცოდნა დამოუკიდებლად გაიღრმავოს გადამუშავების სხვადასხვა ტიპის ტექნოლოგიების ასათვისებლად, გაერკვეს პროცესების მენეჯმენტის სიახლეებში.

ღირებულებები	აფასებს თავისი და სხვების დამოკიდებულებას პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელ ღირებულებებთან და უზიარებს სხვებს.	წიაღისეულის გადამუშავების ტექნოლოგიების ღრმა ცოდნა საშუალებას აძლევს შეაფასოს ტექნოლოგიური სქემის ცალკეული კვანძები და მისცეს მითითება ცვლილებების შესატანად. კომპეტენტურად შეაფასოს ტექნოლოგიური ინოვაციები. იზრუნოს მათ დანერგვაზე საწარმოო პროცესებში. იცავს ეთიკისა და მორალის ნორმებს. აქვს გუნდური მუშაობის ჩვევები. გააჩნია პასუხისმგებლობა პროფესიული საქმიანობის მიმართ.
--------------	---	---